

# რატომ არ უნდა გაკეთდეს აჭისწყლის ხეობაში ბაზალტის ქვის მოპოვებელი კარიერები



„ალიონის“ ფინანსური და ახალი ბაზრების განვითარების 29 თვეა დასრულებულია. ამის ნიშნად გამოქვეყნებული წიგნი „ალიონის“ წარმატება, ოცნებები, რეალური შედეგები და ახალი გამოწვევები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით (სმს-ი) ერთი ასეთი შიშვენიერია: მაინც რატომ არ უნდა გაკეთდეს აჭისწყლის ხეობაში ბაზალტის ქვის მოპოვებელი კარიერები? ჩვენი აზრით, პასუხი, კომენტარებით, სხვადასხვა ფორმით იმყოფება, მაგრამ როგორც ჩანს, ამ კითხვის ავტორისათვის მთლად გასაგებად ვერ ვთქვით. ამიტომ სრულყოფილი, არგუმენტირებული პასუხის გასაცემად ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის საკითხებში ცნობილი სპეციალისტი

გურამ ბერძენიშვილი დაგვიხმარებ. მიუხედავად იმისა, რომ აღვივლებულია ხელისუფლებაში საპროტესტო უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა და მოსახლეობის მოსაზრება გაიზიარა, გამოვიტყვი არ არის, რომელიმე შემდგომად უფროსად თხოვნა მოთხოვნით შეცვალოს. ალბათობით დაგვიხმარებ ამ შემთხვევაშიც დროული კომპეტენტური პასუხის მარტივი მხედველობითი საკმაოდ ვიწროხედით უნდა დარჩეს.



**კვირფასო ქალბატონებო!**  
უდიდესი პატივისცემით ბილოცავთ 8 მარტს – ქალთა სამართაშორისო დღეს. გისურვებთ გზავილას, ჯანმრთელობას, გულწრფელად და უღებ სიხარულს. ქართული ქალის ღვაწლი საზოგადოებაში, კოლმეტიკაში და ოჯახში ყოველთვის ფასდაუდებელი იყო. ასეა დღესაც, ქალი დიდი სიმტკიცითა და გამკლავებით გამოირჩევა. კიდევ ერთხელ გულითადად ბილოცავთ ქალთა დღესასწაულს და გისურვებთ ბაზაფხულივით ღამაზე ცხოვრებას!  
პატივისცემით  
გურიის გუბერნატორი **გია სალუქვაძე**

▶▶ გვ-3

# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის  
1931 წლის  
5 იანვრიდან

**ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი    გ ა ზ ე თ ი .**

ყოველკვირეული გამოშვება.    №10 (10151), 7 მარტი, 2016 წ.    შპსი 50 თეთრი.

## ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკური ცენტრის კორპუსს სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდება

**ალიონი.** ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკის ცენტრ „ანასეულის“ მთლიან კორპუსს სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდება. ამის შესახებ „ალიონს“ გასულ პარასკევს, 4 მარტს ცენტრის დირექტორმა, ქალბატონმა რუსუდან ტაკიძემ უთხრა.

ტაკიძის ინფორმაციით, რამდენიმე დღის წინ თბილისიდან ანასეულში ჩამოსული იყო ტენდერში გამარჯვებული ფირმის შპს „არქიკულტურის“ წარმომადგენლები, მათი განცხადებით, სარეაბილიტაციო სამუშაოები, სავარაუდოდ, 10-15 მარტს დაიწყება.

1,3 მილიონი ლარის ღირებულების სარეაბილიტაციო სამუშაოები ითვალისწინებს: შენობის გადახურვას, გარე ფასადის მთლიან რეკონსტრუქციას, სარდაფის, პირველი და მეორე სართულების კაპიტალურ შეკეთებას.

სარეაბილიტაციო სამუშაოებზე, თბილისელ სპეციალისტებთან ერთად, ადგილობრივი მუსახელიც დასაქმდება.



## მიანიჭებენ თუ არა მდინარე აჭისწყლის ხეობას დაცული ტერიტორიის სტატუსს?

**ალიონი.** როგორც გაზეთი „ალიონი“ წერდა, ფინანსური პირი, ვინმე დავით ჯანგაიძე სოფ. ლინაურში (აჭში) ბაზალტის მოპოვებელი კარიერების გახსნას გეგმავდა, რაზედაც შესაბამისი წერილი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში აქვს შეტანილი. სამინისტროდან კი ოფიციალური წერილი თანდართული ტოპოგრაფიული რუკით, ოზურგეთის თემების მუნიციპალიტეტში იყო გადასული. უნდა აღინიშნოს, რომ ჯანგაიძე მარტო ლინაურით არ კმაყოფილდებოდა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კიდევ სამი კარიერის გახსნაზე ითხოვდა ნებართვას.

მას შემდეგ, რაც ადგილობრივმა მოსახლეობამ მკვეთრი პროტესტი გამოხატა და განაცხადეს, რომ ლინაურები არ დაუშვებდნენ აჭისწყლის ხეობაში კარიერების გახსნას, მათი მოთხოვნა გაიზიარა ადგილობრივმა ხელისუფლებამ და თავიანთი უარყოფითი პოზიცია გამოხატეს.

აჭისწყლის ხეობაში, რომ ბაზალტის ქვის მოპოვებელი კარიერი არ გაკეთდება, რომ აჭის წმინდა გიორგის ეკლესიას აფეთქებლად საფრთხე არ დაეუქმება, ამის ოპტიმიზმი გურიის გუბერნატორის განცხადებამაც მოგვცა: **ავერ-აენ ბატონებო და ქალბატონებო, აჭის ხეობაში ერთ კენჭსაც ვერ გადააგორებთ, ამის გარანტიას ვიძლევი მე, როგორც მხარის გუბერნატორი,**



**რი, როგორც ამ ხეობის მკვიდრი!**

ჯანგაიძეს სოფელ წითელში მდინარე ბუჯის ხეობისათვისაც ჰქონია თვალდადებული და იქაც ადგილობრივი მოსახლეობის მწვავე რეაქცია მოჰყვა.

გაზეთ „ალიონთან“ საუბარში ამ სოფლის მკვიდრმა, ანსამბლ „ერისიონის“ ხელმძღვანელმა **ჯემალ ჭკუასელმა** აღნიშნა, რომ მთის ისეთი მდინარეების ხეობებში, როგორც ბუჯი და აჭისწყალია, ქვა-ღორღის კარიერების ამოქმედება დაუშვებელია. მან ამის შესახებ, კარიერის გახსნის მსურველებთან თავისი მკვეთრი დამოკიდებულება დააფიქსირა. გაზეთ „ალიონთან“ ანალოგიური პოზიცია გამოხატა

ცნობილმა მხატვარმა, სოფელ შემოქმედის მკვიდრმა **ვახტანგ მამეიშვილმა.**

ოზურგეთის ჩართულობის ცენტრში გამართულ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლებთან შეხვედრაზე, რომელსაც მინისტრის მოადგილე ბესარიონ აბაშიძე, ამავე სამინისტროს სატყეო პოლიტიკის სამსახურის უფროსი კარლო ამირგულაშვილი და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი თორნიკე გვაზავა ესწრებოდნენ გაზეთმა „ალიონმა“ მდინარე აჭის ხეობის დაცულ ტერიტორიის სტატუსის მინიჭების შესახებ დასვა კითხვა, რაზედაც **თორნიკე გვაზავამ** უპასუხა, რომ ამ თემაზე მათთვის ოფიციალუ-

რად არავის მიუმართავს, მომართვის შემთხვევაში იმსჯელებენ სტატუსის მინიჭების თაობაზე.

გაზეთ „ალიონს“ სამინისტროდან აჭისწყლის ხეობისათვის დაცული ტერიტორიის სტატუსის მინიჭების თემაზე მომდევნო დღეებშიც დაუკავშირდნენ.

–აჭის ხეობისთვის დაცული ტერიტორიის მინიჭების შესახებ ვიმსჯელებთ და შესაბამის ქმედებებს განვახორციელებთ –ვეითხრა გასულ პარასკევს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე **ბადრი ვობრიძემ.**

გურიის გუბერნატორმა

▶▶▶ გვ-2

### გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 50 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2 ლარი, სამი თვით - 6 ლარი, 6 თვით -12 ლარი, ერთი წლით - 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

**სარეკლამო მომსახურება**  
რედაქტორი  
**ნუგზარ ასათიანი**  
nugzarasatiani@rambler.ru  
558 499100  
საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:  
**თემურ მარშანიშვილი**  
tem52@mail.ru  
599 373515  
კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**გიორგი გოგოლაძე**  
gia\_77@mail.ru  
551 576060  
რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3  
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311  
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“  
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

## მინიჭებენ თუ არა მდინარე აჭისწყლის ხეობას დაცული ტერიტორიის სტატუსს?

გია სალუქვაძემ აჭის ხეობისათვის დაცული ტერიტორიის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით გაზეთ „ალიონთან“ თავისი პოზიცია ასე დააფიქსირა: - დავით ჯანგაიძემ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 5 კარიერის გახსნაზე ითხოვდა ნებართვას. ჩვეულებრივი მუშა პროცესია. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ განცხადება ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გადმოუგზავნა, რაც არ ნიშნავდა იმას, ადგილობრივი ხელისუფლება თანხმობას მისცემდა. გარდა აჭის ხეობისა, ჯანგაიძემ უარი მიიღო სოფ. წითელმთაში და ასევე გათვალისწინებული იქნა სოფელ

ნაგომარში მოსახლეობის თხოვნა და მას აქაც უარი ეთქვა მდინარე სუფსის აუზში კარიერების გახსნაზე. რაც შეეხება აჭის ხეობის დაცულ ტერიტორიად გამოცხადებას, ამისთვის შესაბამისი მოსამზადებელი სამუშაოები ჩასატარებელი. დაცულ ტერიტორიად გამოცხადების შემთხვევაში, აქ ვერანაირი სამუშაოები ვერ ჩატარდება (გზა, ბუნებრივი აირის შეყვანა და ა.შ.), რაც შესასწავლია და მოსახლეობის აზრიც უნდა იქნას გათვალისწინებული. რაც მთავარია, ისეთი დოკუმენტი უნდა შეიქმნას, აჭის ხეობას არც მომავალში უნდა დაეუქროს მსგავსი საფრთხე. - გვითხრა გია სალუქვაძემ

## გურიის გუბერნატორი თურქეთის თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელობას უხვდა



გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძემ დღეს თურქეთის თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელობას უხვდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ გურიის გუბერნიის ადმინისტრაციიდან აცნობეს, გია სალუქვაძემ თურქეთის თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს პროგრამის კოორდინაციის, საქართველოს ოფისის "TIKA"-ს თავმჯდომარესთან მუსტაფა ქორქმაშთან შეხვედრაზე თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივები, სამომავლო გეგმები და რეგიონში განსახორციელებელი სხვადასხვა სახის პროექტები განიხილა.

გია სალუქვაძემ სააგენტოს თავმჯდომარეს მხარდაჭერისათვის და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა.

„მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ მუსტაფას მხარდაჭერისა და თანამშრომლობისთვის. მან თავის მხრივ მატერიალურ-ტექნიკური კუთხით კერძოდ, თავშესაფრებისა და სამედიცინო დაწესებულებების აღჭურვილ გურიის რეგიონს მაქსიმალური დახმარება აღუთქვა. დღევანდელ შეხვედრაზე ჩვენ ასევე, შევთანხმდით ურთიერთთანამშრომლობაზეც, რაც რეგიონისთვის კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება,“ - აღნიშნა შეხვედრის დასასრულს გია სალუქვაძემ.

„TIKA“-ს წარმომადგენლობა საქართველოში 1994 წლიდან ფუნქციონირებს და ამ პერიოდის განმავლობაში სააგენტომ არაერთი მნიშვნელოვანი საქველმოქმედო პროექტი განახორციელა. კერძოდ, განათლების, კულტურის, ინფრასტრუქტურისა და ჯანდაცვის მიმართულებით.

## ახალი მერხები უმომქმედის საჯარო სკოლას



ალიონი. სსიპ აკაკი სურგულაძის სახელობის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შემოქმედის საჯარო სკოლას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 195 სასწავლო მერხი გამოუგზავნა. სამუშაოში ჩართო დიდი და პატარა: მოსწავლეები უფროსებთან ერთად სიხარულით ეზიდებოდნენ მერხებს. საერთო განწყობა აამაღლა იმან, რომ სამინისტრომ უზრუნველყო სკამებისა და მაგიდების ოპერატიულად აწყობა - ამის შესახებ გაზეთ „ალიონს“ შემოქმედის სკოლის დირექტორმა ნინო საღრაძემ გვაცნობა.

## გურიის გუბერნატორი მსოფლიო ბანკის სამხრეთ კავკასიის რეგიონულ ღირებულებებს მერსი ტემპონს უხვდა



მსოფლიო ბანკის ოფისში გამართულ შეხვედრაზე გურიის რეგიონის ტურისტული პოტენციალის შესახებ ისაუბრეს და მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოს რამდენიმე რეგიონში განხორციელებული (დაფინანსებული) რეგიონული განვითარების პროგრამა განიხილეს, რომელიც მიზნად ისახავს ინფრასტრუქტურული მომსახურებისა და ინსტიტუციური შესაძლებლობის გაუმჯობესებას ტურიზმის წვლილის გაზრდით ადგილობრივ ეკონომიკაში.

„მინდა მადლობა გადავუხადო მსოფლიო ბანკის დირექტორს სრული მხარდაჭერისათვის. დღეს ჩვენ საკმაოდ ნაყოფიერი შეხვედრა გვქონდა. ბანკის რეგიონულმა დირექტორმა გურიაში სტუმრობის სურვილი გამოთქვა და შევთანხმდით ურთიერთთანამშრომლობაზეც. ის მზად არის თავის გუნდთან და შესაბამის უწყებებთან ერთად, დაიწყოს მოლაპარაკება რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელებისათვის, რომლის საბოლოო მიზანს

არსებული სიღარიბის აღმოფხვრა წარმოადგენს,“ - აღნიშნა შეხვედრის დასასრულს გია სალუქვაძემ.

აღსანიშნავია, რომ 1992 წლიდან საქართველო მსოფლიო ბანკის წევრია და ამჟამად ბანკში გაერთიანებულია ხუთი ინსტიტუტი:

რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (International Bank for Reconstruction and Cooperation - IBRD);

საერთაშორისო განვითარების ასოციაცია (International Development Association - IDA);

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (International Finance Corporation - IFC);

მრავალმხრივი ინვესტიციების გარანტიის სააგენტო (Multilateral Investment Guarantee Agency - MIGA);

ინვესტიციების სფეროში დავების მოსაგვარებელი საერთაშორისო ცენტრი (International Center for Settlement of International Disputes - ICSID).

## სოფელ ოზურგეთის საჯარო სკოლას ზაზა ღამენიას სახელი მიენიჭა



ალიონი. 2 მარტს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განიხილეს

საკითხი „სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოზურგეთის საჯარო სკოლისთვის საქართველოს ეროვნული გმირის ზაზა ღამენიას სახელის მინიჭების შესახებ.“

საკრებულოს სხდომას გმირის დედა, პედაგოგი ციური წერეთელი ესწრებოდა. დეპუტატებმა წუთიერი ღუმბილით პატივი სცეს ზაზა ღამენიას ხსოვნას.

საკრებულომ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება სკოლითვის გმირის სახელის მინიჭების შესახებ.

## ჭიათურა უფრო აქტიურობს, ვიდრე ოზურგეთი

ალიონი. როგორც ცნობილია, ჩაის პლანტაციების რეაბილიტირების სახელმწიფო პროგრამაში პლანტაციებისა და ნიადაგების დიაგნოსტიკების კუთხით ჩართულია ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკის ცენტრი „ანასეული“. 4 მარტს, როცა აქ სხვა საგაზეთო ინფორმაციას ვამზადებდით, ცენტრის დირექტორს,

ქალბატონ რუსუდან ტაკიძეს ტელეფონით დაუკავშირდა ჭიათურის გამგებობის სოფლის მეურნეობის სამსახურის ხელმძღვანელი, რომელმაც აცნობა, რომ 17-18 მარტს ჩამოიტანს 90 ნიშუშს.

ცენტრის დირექტორმა, ეტყობა, გაკვირვება შეგვატყო და ღიმილით გვითხრა: ასე, ჭიათურა უფრო აქტიურობს, ვიდრე ოზურგეთი.

დაიწყეთ ყოველი  
ოჩხაბათი აღიონზე  
«აღიონით»

# რატომ არ უნდა გაკეთდეს აჭის ფელის ხეობაში ბაზალტის ქვის მომპოვებელი კარიერები



— ბატონო გურამ, ოზურგეთის მდინარეებში ქვა-ღორღის მომპოვებელი საწარმოების რაოდენობა წლით იწიფობით, თითქმის გეომეტრიული პროგრესით იზრდება. საქმეში ჩახედული საზოგადოების აზრით, თუ ასე გაგრძელდა, მსუბუქად რომ ვთქვათ, გარდაუვალია ეკოლოგიური ბალანსის მნიშვნელოვანი რღვევა. ამ თვალსაზრისით მკითხველს რომ დღევანდელი რეალური სურათი გაჩვენოთ, თქვენი, როგორც კომპეტენტური სპეციალისტის, ექსპერტის დახმარება გვჭირდება.

— როცა დღის წესრიგში დგება საკითხი წიაღისეულის, ანუ ბუნებრივი რესურსების გამოყენების შესახებ, კლიმატურ-გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელია ის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც გარემოში ხდება რესურსების მოპოვების, გადაამუშავებისა და მოხმარების პროცესში, კერძოდ: ბუნებრივი რესურსების მოპოვებისას დიდი ოდენობის ქანების გადაამუშავება — თანმდევი რელიეფის ცვლილებით; ხე-ტყის დიდი მასივების გაჩეხვა; ბუნებრივი ლანდშაფტის გარდაქმნა და სხვა. ყოველივე ამ პროცესების აღდგენისათვის საჭიროა განხორციელდეს მნიშვნელოვანი ეკონომიკური გარდაქმნები, რაც ქვეყნის განვითარების აუცილებელი პირობაა, რადგან სუსტად განვითარებული ეკონომიკის პირობებში შეუძლებელია მიმართო ფინანსური რესურსები გარემოსა და ბუნებრივი პირობების მაქსიმალური შენარჩუნებისათვის.

როგორც თქვენთან, ისე თქვენს კოლეგებთან არაერთხელ მითქვამს, ვერ კიდევ საბჭოთა პერიოდში მიიღეს მკაცრი პირობა, რომ მასხარადის (დღევანდელი ოზურგეთის) რაიონი

არ ყოფილიყო ქვა-ღორღის მასიური მოპოვების ზონა და ეს პირობა სრულდებოდა ე. წ. „ხალხის მესაჭე“ პარტიის მიერ დაგეგმილი კამპანიური მშენებლობების დროსაც კი. ამასთან, ითვალისწინებდნენ, რომ ოზურგეთში ხე-ტყეს აქვს ნიადაგ-დაცვითი და წყალმარეგულირებელი ფუნქცია, ხოლო მდინარის ნაპირის ძირითადი მიზანი არის სანაპირო ზონის ფორმირება.

მრავალწლიანი დაკვირვებებითა და გეოლოგიური გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი იმყოფება მეწყერულ ზონაში. მეწყერული მოვლენების პერიოდული გააქტიურება გამოწვეულია ანტროპოლოგიური ფაქტორებითაც. ტყეების, დაცვითი ტყის ზოლების მასობრივად გაჩეხვით, ჩაის პლანტაციების ამოძირკვით, ნიადაგებს ფაქტობრივად გამოეცალა დამცავი სისტემა, რაც მეწყერული მოვლენების საფუძველი გახდა. ამიტომ ვამბობ, რომ დღეს ოზურგეთის სერიოზული მეწყერული პროცესები ემუქრება. თუ შემოთქმულს დაკუმატებით იმას, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კლიმატურ-გეოგრაფიული ფაქტორების გაუთვალისწინებლად მიმდინარეობს წიაღისეულის მოპოვების კამპანია, რეალური სურათის დანახვა და აღქმა აღარ უნდა გავვივირდეს, მით უფრო, თუ სტატისტიკურ მონაცემებსაც მოვიშველიებთ. **გაცემული ლიცენზიების რაოდენობით, ოზურგეთში უნდა მოპოვებულიყო 1,5 მილიონი კუბური მეტრი ინფრატული მასალა, დღეისათვის მს რიცხვი თითქმის გარდაუვალია და მოპოვება ბრძანდება.**

— ჩემი აზრით, რამდენადმე პარადოქსულ შთაბეჭდილებას ტოვებს ის, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში ქვა-ღორღის მოპოვებელთა უმეტესობა დედაქალაქიდან და მეზობელი რეგიონებიდანაა, მაშინ, როცა მათ ზონებში არსებული მდინარეები წყლითაა უფრო უხვია და ნატანითაც გაცილებით მდიდარი. ეს, ალბათ, ის იშვიათი შემთხვევაა, სადაც არ გაამართლებს რუსთაველის ბრძნული ანდაზა: „რასაცა გასცემ შენია, რაც არაა, დაკარგულია“. მეტიც, შესაძლებელია ასეთმა „გაცემამ“ სავალალო შედეგები გამოიწვიოს.

— მუნიციპალიტეტის მდინარეებიდან ამოღებულ და გადაამუშავებულ ქვა-ღორღს გზავნიან ფოთის, ქობულეთის, ბათუმის სამშენებლო სამუშაოებზე, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი კი ყოველწლიურად კარგავს შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონით „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის შესახებ“. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტი მოკლებულია უფლებამოსილებას, აღმინისტრირება გაუკეთოს მოსაკრებლის გადახდას და ბიუჯეტში მისი მიმართვის პროცესს.

ჩვენი მუნიციპალიტეტი ინერტული მასალის მოპოვების რაღაც დიდ კარიერად იქცა. მარტო სოფელ ოზურგეთიდან სოფელ მერიაძემ, სულ რაღაც II-კილომეტრიან ზოლზე 40-მდე ლიცენზიაა გაცემული. მე რომ მკითხოთ, ამ მანძილზე 40 მეთევზის განთავსება ხდებოდა, არამც თუ 40 ქვა-ღორღის მომპოვებელი კარიერის გახსნა. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ინდემწარმეს გამოყოფილი აქვს 5-დან 15 ჰექტარამდე ფართობი, ისინი წიაღისეულს მაინც უშუალოდ მდინარის კალაპოტიდან იღებენ, შედეგად მდინარეები იცვლიან კალაპოტს, იტაცებენ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს და ბურჯებს სახილო ნაგებობებს. **მს მფხავდეს დამტყო ოზურგეთში მოქმედ სიღმის, განსაკუთრებით ლაითური-მერიის დაბაპ-პირამდე სიღს, რომლის რაბაილიტაციაც ახლახან დასრულდა და მასზე 3 მილიონი ლარი დაიხარჯა, მს გავიდა, როცა ამოღებული ქვა-ღორღის მოსაპოვებლის ღირებულება 600 ათასი ლარია (მ. ი. მები ბადის და შემოსავალი ვერ აღადგინს**

მიხმებულ ზინანს).

— ოზურგეთის იმ მდინარეებს, რომელთა აუზებში ინტენსიურად მიმდინარეობს ინერტული მასალის მოპოვების სამუშაოები, შესაძლებელია მდინარე აჭისწყალიც შეემატოს, ყოველ შემთხვევაში, არის იმის მცდელობა, რომ მდინარე აჭისწყლის ხეობაში, რომელიც, ჩვენი აზრით, დაცულ ტერიტორიად უნდა გამოცხადდეს, ორ ადგილას, ე. წ. „დევის ქვასთან“ და აჭის ეკლესიასთან ახლოს ამოქმედდეს ბაზალტის ქვის მომპოვებელი კარიერები. ვინ და როგორ იძლევა შესაბამის ლიცენზიებს?

— როგორც ჩანს, მდინარეთა კალაპოტების გასწვრივ კარიერებისათვის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების გამოყოფა, რომელიც ადრე ადგილობრივ თვითმმართველობებთან შეთანხმებით ხდებოდა, მაინც ზემდგომის კაბინეტებში წყდება, თორემ ასე ხშირი არ იქნებოდა ადგილობრივი პირობების გაუთვალისწინებლობა. ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ ნებართვა ზოგჯერ გაცემულია ისეთ პირობებში, სადაც ფაქტობრივად წარმოუდგენელია წიაღისეულის მოპოვების სამუშაოები, გვერდითი უარყოფითი პროცესების უცილობელი განვითარების გამო.

რაც შეეხება აჭისწყლის ხეობაში ბაზალტის მომპოვებელი კარიერის გახსნას, ეს, ალბათ, იქნება დიდი უბედურება არა მარტო ლიხაურისათვის, არამედ მთელი მუნიციპალიტეტისათვის. კარიერი გათვლილი იქნება გრანიტული ქანების მოხსნასა და დამუშავებაზე. მოხსნა აფეთქების გარეშე წარმოუდგენელია ქანების სიმტკიცედან გამომდინარე, დამუშავებას კი სჭირდება დიდი რაოდენობით წყალი, მდინარე და ამ შემთხვევაში ჩვენი უნიკალური აჭისწყალი დაკარგავს თავის ძვირფას თვისებებს, ღეფორმირდება „დევის ქვაც“ და მთლიანად წარმტაცი ხეობაც. იმ ადგილებში, სადაც აფეთქებები იწარმოებს, განადგურდება ხე-ტყე, მოხდება ის, რაც მოხდა სოფელ მთისპირში ბენტონიტური თიხის კარიერების ამოქმედების გამო, განვითარდება მეწყერული მოვლენები და მოსახლეობა იძულებული გახდება, გადასახლდეს სხვა ადგილას. მთისპირის დღევანდელი მდგომარეობა კი ნამდვილად სავალალოა. ლიხ-

აურის შემთხვევაში ამ უბედურებაში ჩართული იქნება ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი — აჭის ეკლესია. შეწირულობის ან ნასყიდობის წიგნების სახით წარმოდგენილი მისი უძველესი, XVI საუკუნის წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, რომ ეს ეკლესია აგებულია XIII საუკუნის დასასრულსა და XIV საუკუნის დასაწყისში.

წიაღისეულთან ასეთი ბარბაროსული მიდგომა დაუშვებელია. არსებობს სპეციალური წიგნი, რომელშიც შეტანილია მონაცემები სასარგებლო წიაღისეულის შესახებ რაიონების მიხედვით. ოზურგეთში გავრცელებული წიაღისეულიდან შემძილია ჩამოვითვალეთ ყველაზე მნიშვნელოვანი: წითელი რკინის მადანი, სოფელ ვაკიჯვარში, რკინა ქვიშის მინარევების სახით ასევე ურეცისა და მაგნეტიტის ტერიტორიაზე; მცირე რაოდენობის სპილენძის ბუდეები, ტყვია, ვერცხლი და თუთია სოფელ ვაკიჯვარის მიდამოებში; აპატიტები, რომელიც საქართველოში მხოლოდ სოფელ ვაკიჯვარშია, მდინარე ნატანების მარცხენა ნაპირზე; ტორფის საბადოები პალიასტომის ტბასთან; კაულინი სოფელ მაკანეთში; სამშენებლო კირი დაბა ნასაკარაღის ტერიტორიაზე; სიენიტის საბადო სოფელ შემოქმედში, ოქრა — რკინის ჟანგისა და თიხის ნარევი, რომელიც გამოიყენება მინერალური საღებავის დასამზადებლად, სოფელ ნავომარში, მდინარე სუფსის ტერასაზე და სოფელ წითელმთაში; ბენტონიტური თიხები კი ოზურგეთში თითქმის ყველა სოფელშია, მაგრამ სამრეწველო მნიშვნელობით — მთისპირში.

ჩამოთვლილთაგან ბოლო 50 წლის განმავლობაში მოპოვებულა მხოლოდ ოქრა ადგილმრეწველობისათვის, ლაითურის თიხა, რომლისგანაც მზადდებოდა უმაღლესი ხარისხის აგური, ბენტონიტური თიხა მთისპირში და სიენიტი შემოქმედსა და გომში. სხვა სასარგებლო წიაღისეული სიმდიდრე არ მოპოვებულა, იმიტომ, რომ ამას თან მოყვებოდა ეკოლოგიური პროცესების რღვევა. თქვენ წელან სიტყვა პარადოქსი ასხენეთ. პარადოქსი, ჩემი აზრით, უფრო ისაა, რომ მაშინ ასეთ საკითხებს უფრო დიდი ყურადღება ექცეოდა, ვიდრე დღეს.

ესაუბრა თემურ მარშანიშვილი.

## „ქართული ტყის კოდექსის“ პროექტის განხილვა უნდა

**ალიონი.** ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში, საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა მუნიციპალიტეტის ხელისუფლების წარმომადგენლებს, მასმედია და დანიშნულ პირებს ახალი ტყის კოდექსის პროექტი გააცნეს, რომელსაც თვენახევარში პარლამენტში უნდა წარადგინონ.

სისპეროული სატყეო სააგენტოს უფროსმა თორნიკე გვაზავამ პროექტი წარმოადგინა და სლაიდების დახმარებით მათხდინა პრეზენტაცია. „საქართველოს ყველა რეგიონში ვიყავით. დღეს გურიაში ვახდენთ ახალი სატყეო კოდექსის წარდგენას და ვმართავთ საჯარო დისკუსიას. იყო დრო, კანონპროექტი 10 წლის განმავლობაში იწერებოდა. მაშინ, ორი ქართველი ექსპერტის მიერ, 11 კაცთან ვეუფთან ერთად, დაჩქარებული წესით მოხდა პროექტის განხილვა. დაჩქარებული განხილვის მიზეზი ის არის, რომ 1999 წლის კანონი დღემდე მოქმედებდა. იმ დროს შემოსული

„ტყის სოციალური ჭრა“ - მახინჯი ფორმა - დღემდე გრძელდება, რასაც არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში, მათ შორის, მეზობელ ქვეყნებში, არ ცნობენ. ასევე მახინჯი ფორმა იყო ლიცენზირების გრძელვადიანი პროგრამა, რამაც მთლიანად გააუარესა ტყეების მდგომარეობა და ვერც სახელმწიფო ხაზინამ ისარგებლა. შეიცვალა 500-ზე მეტი მუხლი. უმთავრესი რაც არის, ტყე არ არის შემა და ის არ უნდა იყოს განხილული, როგორც საწვავი. არადა, ეს იყო ტყის ფუნქცია. 2013 წლიდან, ბორჯომი-ხარაგაულის მასივით ტყეების ინვენტარიზაცია დაიწყო. ამ პროცესმა უნდა მოიცავს მთელი ქვეყანა, „თქვა თორნიკე გვაზავამ.“

მან ისაუბრა პროექტის უმთავრეს მიზანზე — უნდა შენარჩუნდეს ტყეების ხარისხობრივი მაჩვენებელი და დაზუსტდეს ტყის ფონდის განმარტება, რომელსაც ყველა თავის ინტერპრეტაციას აძლევდა. ამიერიდან იქნება გეოგრაფიული განმარტება — ტყე არის 10 მ სიგანის არანაკლებ 0, 5 ჰა მიწის ფართობი, სადაც

მერქოვანი მცენარეებია. ტყის მართვის პრინციპები კი საყოველთაო ნორმად უნდა იქცეს. კონკრეტულად, ტყის მართვაში უნდა მოხდეს კადრების დაბრუნების პროცესი. ადრე სახელმწიფო იყო მესაკუთრე, ახლა კი ახალი მესაკუთრე ძლები შემოდიან, მათ შორისაა მუნიციპალიტეტი.

პროექტის წარდგინების მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო ტყის მართვის გეგმის გაცნობას. ის მოქმედებაში შემოიღოს და ათწლიანი სარევიზო პერიოდი აქვს. ამ გეგმის დამტკიცებად ტყით მოსარგებლეს ხე-ტყის ჭრა ეკრძალება. ზოგადად კი, არამერქულ რესურსებს ფიზიკ დემატება თავისუფალი ხელმისაწვდომობისთვის. ძალაში შევა კანონი ტყის ერთწლიანი, სეზონური და გრძელვადიანი, 25 წლით სარგებლობისთვის.

—ტყის კოდექსის უპირველესი პროფესიონალი კადრები ჩვენი სატყეო სამსახურების დაკომპლექტებას, რაც თითქმის 30 წელია, არ მომხდარა. ესაა უდიდესი წვეტა, როცა ქვეყანაში პროფესიონალი კადრი არ გამოუშვიათ. მან ასევე ყველას



გაცნო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კაცური და ახალციხის პროფსასწავლებლები მოამზადებენ სატყეო საქმის სპეციალისტებს. მეტყვე იქნება ბაკალავრის ხარისხით, დანარჩენ სპეციალისტებს კი პროფესიული მომზადების კვალიფიკაცია ექნებათ — აღნიშნა თორნიკე გვაზავამ. — გურას ბანმაროს მიერ გამოცხადდა

უნიკალური „კოლხური მუხის“ ტყე, რომელიც სათანადო სტატუსის მინიჭებას საჭიროებს დაცვითი ღონისძიებების გასაძლიერებლად — აღნიშნა შეხვედრაზე გურიის გუბერნატორის პირველმა მოადგილე ქეთი მოსწარაფეშვილმა. სტუმრებს პასუხი გასცეს დასმულ შეკითხვებს.



# ცნობილი ოჯახები მარტის დღესასწაულების შესახებ

მარი კომკვი



**მას შემდეგ, რაც მცირე სასაქონლო ბოლომდე დაღმართად და 8 მარტი უმედი მამოცხადდა, არ ყველა მსახურს უნდა აღვნიშნავდეთ თუ არა ამ დღესასწაულს. ზოგი მიიჩნევს, რომ საპარისი პირობით მხოლოდ სამი მარტი, დედის დღე, ზოგი მოხარება, რომ ძალბატონებს ორი დღე ეძღვნება, რომელიც და სამართლებრივ იტყვიან, ყოველი დღე მარტს, დედის დღეს, დედის დღე განსაკუთრებული დღეა ყველა მამაკაცისთვის და არა მარტო მამაკაცისთვის, ქალებისთვისაც. იმიტომ, რომ ცნება დედა აღმტებულია ყველაფერზე კარგია, რომ საქართველოში ორჯერ აღვნიშნავთ ქალების დღესასწაულს. თუმცა ყველა დღე ქალთა დღე უნდა იყოს, რამეთუ ქალის როლი**

**ლევან:** ყველა ქალს ვულოცავ რვა მარტს, დედის დღეს, დედის დღე განსაკუთრებული დღეა ყველა მამაკაცისთვის და არა მარტო მამაკაცისთვის, ქალებისთვისაც. იმიტომ, რომ ცნება დედა აღმტებულია ყველაფერზე კარგია, რომ საქართველოში ორჯერ აღვნიშნავთ ქალების დღესასწაულს. თუმცა ყველა დღე ქალთა დღე უნდა იყოს, რამეთუ ქალის როლი



**ნანიკო:** 8 მარტი იმიტომაც არის ყველაზე ბედნიერი დღე ჩემთვის, რომ ზუსტად 8 მარტს იყო ჩემი და ლევანის ქორწილი 19 წლის წინ. სწორედ ამიტომ კიდევ უფრო მიყვარს და მახარებს ეს დღესასწაული. კარგა დიდი დრო გავიდა მას შემდეგ. ამ დღესთან დაკავშირებით მარტო კარგი ასოციაცია და მოგონებები მაქვს. დედის დღეს შეილება, რა თქმა უნდა, მილო-

8 მარტს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს.

**თამარი:** 8 მარტს არ აღვნიშნავ და მივიჩნევ, რომ ზოგადად თუ აღვნიშნავს უნდათ ქალებისადმი პატივისცემის გამოხატვა, ამის გაკეთება ნებისმიერ დღეს შეუძლია. ყოველთვის შეიძლება გამოავლინოს სიყვარული, სიბოლო, აჩუქოს ყვავილები. შეიძლება ამით იწყებოდეს დილა და საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა. რაც შეეხება რვა მარტს არ მივიჩნევ დღესასწაულად. ამ დღეს განსაკუთრებულს, სხვა დღეებისგან განსხვავებულს არაფერს ვაკეთებ. არც საჩუქრებს მზუნხის ვინმე იმიტომ, რომ იციან ჩემი შეხედულება ამ დღესთან დაკავშირებით. იმათ, ვისთვისაც 8 მარტი დღესასწაულია ვულოცავ, ვუსურვებ, რომ ყოველი 8 მარტი ჰქონდეთ ბედნიერი და დღესასწაულს ყოველთვის საყვარელ ადამიანთან ერთად შეხვედროდნენ.

**ზვიადი:** 8 მარტს არ ვჩუქნი საჩუქრებს. სამაგიეროდ, ვჩუქნი სამ მარტს. იმიტომ, რომ თვითონ 8 მარტს არ აღიარებს. მაგრამ ყველა იმ ადამიანს ვულოცავ, ვისაც უხარია ეს დღესასწაული.



შვილებს ჩემივე ეზოს, ბებიას დარგულ ვარდს ვჩუქნი. რიტუალად მექცა, ვუცდი ამ ვარდის აყვავებას ყოველდღე ვნახულობ, ყველაზე ადრე ვვგები, რომ პირველმა ვნახო. ვკრეფ და სასუბუღარო ვულოცავ ჩემებს. ეს არის ჩემთვის გაზაფხულის მოსვლა, ეს უფრო მეტია, ვიდრე 8 მარტი. მე მომწონს, როცა მუდმივად ვახარებ მათ და არა მარტო რვა მარტს. არ მიყვარს ნაყიდი ყვავილების ჩუქება. ჩემი ეზოს ვარდები მიჩრჩენია. ყველაზე განსხვავებული ძალიან ვარდისფერი ვარდი. მიხარია რომ ბებიამის დარგული ვარდი ჩემი შვილებისთვისაც მნიშვნელოვანია. ჩემი შვილი, რომელიც გათხოვდა და ჩემთან აღარ ცხოვრობს, დარეკვისას მეკითხება აყვავდა თუ არა. სხვათაშორის თანამშრომლებსაც ვჩუქნი ხოლმე ჩემი ეზოს ვარდებს. აქედან იწყება ჩემთვის გაზაფხული და დღესასწაულები.

**ლელა:** გაზაფხულის დადგომას ყოველთვის სიხარულით ვხვდები. 3 მარტი-დედის დღეა გაზაფხულის პირველი დღესასწაული. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ყველა ქალს ბედნიერი დედობა ვუსურვო. ჩემთვის, როგორც ქალისთვის, დადებითი ემოციებით დატვირთულია მარტის თვე. საოცარი განცდაა, როცა შვილები, მეუღლე ამ დღეს გილოცავენ. სულ სხვანაირი სითბოთი გვესება გული. 8 მარტი, ალბად, როგორც ყველა ჩვენი თაობის წველისათვის დიდი იწყება, შენთვის ყველაზე ძვირფასი ადამიანისაგან თბილი სიტყვების მოსმენა ყველაზე დიდი საჩუქარია თუ

საჩუქრებიც მოკვება მოლოცვას, ეს ხომ მთლად კარგია. გილოცავთ. სიხარული ბედნიერება და სიყვარული არ მოგაკლოთ უფაღმა.

**„მიხარია რომ ასე შეხმატებულად მოვიდვართ აქამდე, აწი რა წაგვანდნს“** გვითხრა **ტრისტან სინარულიმამ და რუსუდან მაინაშვილისა** და საკუთარი სიყვარულის ისტორია გვიამბო.

**„მე და ჩემი მეუღლე ვსწავლობდით ერთად. მაკვანეთის საშუალო სკოლაში. კაი გოგო იყო სხვათაშორის. რაფერ ვაგებდე არ ვიცი, მარა**



ვექნი მაგი საქმე. მართალი გითხრათ, სალაპარაკოდ არ მიჩერდებოდა და დაეწერე წერილი, მივეცი, სახლისკენ რომ წახვალ გზაში, წიკითხე-მეთქი. რა დაეწერე, რადა მახსოვს, მაგრამ წერილმა იმოქმედა. მეუღლე 1959 წელს შევირთე. მალე ჩვენი ქორწინების მრგვალი თარიღია. სიყვარულით ვართ შეერთებული. უხერხულია ამაზე

ლაპარაკი, მაგრამ ჩემს სოფელში ლევენდასავით დადის – „ოჯახი, რომელიც რუსუდან მაინაშვილს და ტრისტან სინარულიმამს აქვთ, ეს არის იშვიათობა“, – გვითხრა ბატონმა ტრისტანმა და ქალბატონებს დღესასწაულები მიულოცა.

„ვეულოცავ ქალბატონებს ვუსურვებ ჯანმრთელობას, ტკბილ დედობას, ტკბილი სიბერეს. 8 მარტს რატომღაც ნაკლებად აქცევენ ყურადღებას. ქალთა საერთაშორისო დღე ჩემი აზრით შესაბამისად უნდა აღინიშნებოდეს. მთელი საქართველოს ქალბატონებს ვულოცავ. განსაკუთრებით ჩემი რაიონის, რეგიონის წარმომადგენლებს. ოჯახის ქალბატონები მარტო მილოცვას არ დაფრდნენ. პატარ-პატარა საჩუქრებიც უნდოდან და მიიღეს. მეუღლეს ყვავილებს, ტკბილეულებსაც ვჩუქნი რაც მთავარია სიყვარულს.

– სიმღერას თუ ჩუქნით მეუღლეს?

ოჯახში არ მყავს წვერი, რომელიც არ მღერის. რბალიც მომღერალი შემომივიდა. მეუღლეს მღერის, დედაჩემიც მღეროდა, მაგრამ სცენაზე ვერ

## დედას

როცა ვკარგავ იმედებს, როცა ძლიერ ვლონდები, მხოლოდ შენ ერთს ვნატობ და მხოლოდ შენ მაგონდები.

შენი სულის ნათელი მამხინვეებს და მინათებს; დედა დამეხმარება, რომ არ ავცდე სიმატოლეს.

ნისლებივით მეხვევა სევდიანი ფიქრები, უცებ ციდან წამოვლენ თოვლის თეთრი ფიფქები.

და ზამთრის გრძელ ღამეში ფიქრის გორა გორდება; დედა მომეხატება -

ვიწყებ ტირილს, გოდებას.

გაზაფხულის სუნთქვას ვგრძნობ, გადაშლილან კვირტები; შორეული მხარიდან მოფრენილან ჩიტები.

იქარგება გარემო, ცისარტყელის ფერებად, მზის სხივები მათობენ, თუ დედა მეფერება?

უფრო ტკბილად ღამდება ვარდისფერად თენდება, თვალს ვაგახეღ, მაშინვე დედა გამახსენდება.

**ნანა ჯანსოთიანი**

## კვირფასო კოლეგებო!

ლილი სიყვარულით გილოცავთ გაზაფხულის დღესასწაულს.

გაზაფხულივით ლაძახი იყოს თქვენი ცხოვრება და ყოველ გაზაფხულზე აქამდე ყვავილებს ავთქვამსთან ერთად. თქვენი ძვირფასი ოცნება ავსრულდეს. იყავით ჰელნიკი ქალბატონები და ლიბუსკლად აცხოვრებთ მანაყვარელის ძვირფასეული. მაგამ საძაყი სხელი.

განსაყობებით ვულოცავ ამ დღეს ჩვენს აძაყად ჰელნიკს: ნინა ლინოლაძეს, ლოლა ჯანაძეს, სულიკო ჰაბილოძეს და ლიანა ჰაბილოძეს. ნიძელთა ღვანლი ჩვენთვის საძაყალითა.

ეფერებით. მიყვარსაბო. მიძიქებით.

პატივისცემით.

**ცხემლისხილის საჯარო სკოლის დირექტორი ლალი სიჭინავაძე**

# დისკუსია ტერორიზმის თემაზე



მოიყენებ ტერორიზმს შენი მიზნების განსახორციელებლად. თითოეული მოსწავლე აქტიურად იყო ჩართული დისკუსიაში, რომელიც მიჰყავდა ორ მოსწავლე ჟურნალისტს: იანა ბადასიანს და მაია თვალაბეიშვილს. აზრი გამოთქვას მოსწავლეებმა: ანი გაგნიძემ, ეკა გოგუაძემ, ნატა ჭანუყვაძემ, მარიამ დავაძემ, ანზორ ბორჩხაძემ და სხვებმა. დისკუსიას ესწრებოდნენ სკოლის მასწავლებლები, ფასილიტატორი იზოლდა კვაჭანტირაძე, დირექტორის მოადგილე მაცვალა ხეჩუაშვილი.

სოფელ ცხემლისხიდის საჯარო სკოლაში მე-11 კლასის მოსწავლეებმა მოაწყვეს დისკუსია თემაზე „ტერორიზმი“.

ტერორიზმი არც ახალი ცნებაა და არც ახალი პრობლემა მსოფლიო ისტორიაში. თუმცა, დიდი ტერორისტული აქტის შემდეგ მსოფლიო მიხვდა, რაოდენ საფრთხის მომასწავებელია ტერორიზმი და ნათელი გახდა, რომ დამოუკიდებლად ამერიკისნაირ სუპერსახელმწიფო-

საც კი არ შესწევს ძალა, ალკვეთოს მსგავსი ფაქტები. წლების განმავლობაში არაერთი ტერორისტული აქტი განხორციელდა ევროპის კონტინენტზე. მასობრივი ტერორისტული საფრთხის წინაშე პირველად საფრანგეთი 1995 წელს დადგა. ბოლო პერიოდის კიდევ ერთი ხმაურინი თავდასხმა ქალაქ ტულუზას ებრაულ სკოლაში მოხდა.

აქედან გამომდინარე, შეირჩა დისკუსიის სლოგანიც „ნუ გა-

დისკუსია დაგეგმა სერტიფიცირებულმა მასწავლებელმა ნანა კიკაბიძემ. დისკუსიამ ნაყოფიერად და საინტერესოდ ჩაიარა.

**ნინო ჯავახიძე,**  
საზოგადოებრივი  
მეცნიერებათა კათედრის  
თავმჯდომარე.

## განცხადება

სააქციო საზოგადოება „იმედის“ აქციონერთა საყურადღებოდ: 2016 წლის 30 მარტს, დღის 16 საათზე მოწვეულია სააქციო საზოგადოება „იმედის“ აქციონერთა საანგარიშო სამართო კრება.

**დღის წესრიგი:**

1. ბასული, 2015 წლის სამშენებო და ეკონომიკური შედეგების განხილვა და 2016 წლის 1 კვარტლის შედეგები
2. 2015 წლის მოგების აქციონერებზე დივიდენდად გაცემის შესახებ.
3. სამშენებლო საბჭოს არჩევნები.



სააქციო საზოგადოება „იმედის“ აღმინისტრაცია.

## იყილება

ოჯუბეთის ცენტრში 300-კაციანი ღარბაზი.  
**იყილება**  
46 კვ. მ ფართის მაღაზია სათავსო ფართით  
48 კვ. მ.  
ტელ. 555 75 42 09.

## სკანვორდი



									მარსის თანამგზავრი	ღვინო	ქალის სახელი	თუთიყუში	
	მარგარინი		..... ლა შვილი ჯუჯა										
	ხორცის კერძი				ინგლისელი ფეხბურთელი								
	ბილიარდის ჯოხი	მიწის მომის ერთეული									რძის ნაწარმი		ევკალიპტის ჯიში
			მოლე წერილი		მწერალი ..... მიქაეა						მაგნე ჩვევა		
	ლიახ მეგრულად												ამორძალები
										არასრულ- წლოვანი			
	ესპანეთის დედაქალაქი											ქართული ვაშლის ჯიში	
													... კარენინა
	აჩრდილი		ქუსლსუსტი რაინდი					ქალაქი რაჭაში					
				პორტუგალი- ის დედაქალაქი	პირველი სამნიშნა რიცხვი		აკვარიუმის თევზი	მეთრე ნოტი	სახლის ნაწილი		ქალაქი იმერეთში	ღაო მოფერებით	
	ერთგვარი ნამცხვარი			... მე, უი შენ									მეინვარი კაეკასიონ- ის ქელზე
	მანღარინის ჯიში	გალეული გბა თბილისში				მუსიკით გატაცება				ქართველი წმინდანი			

### № 9-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – თენგიზ არჩვაძე; განაგებელი, მიტოვებული ადგილი – ხარაპა; ვინც ნაწარმოებს ქნის – ავტორი; საკვები ბაღასი – ვაკიწვერა; ნაღ – მამითაი; პურის კურთხევა – არტოკრასი; სოფელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში – ტაბანათი; მღვიმე აფხაზეთში – კრუმური; კრების ამსახველი დოკუმენტი – ოქმი; სესხი – ვალი; კედლის ცალი – ბრა; ფიცი – ზენარი; ლურჯი ვეშაპი – ბლუვალი; ნასვენი მიწა – ყამირი; ადამიანის მსგავსი მაიმუნი – გიბონი; გოჭი მეგრულად – თუ; რეპტილია – ნანაგი; ვალდებულების შეუსრულებლობა – დეფოლტი; შენ მეგრულად – სი; „რომას“ ლეგენდა – ტოტი; მდინარე რუსეთში – ლენა; საჭაპანო ტრანსპორტი – ვლდი; პუბლიცისტური ჟანრი დიოგენესტი; ანანის მეტაფრე ასო – ნ; რუმინეთის დედაქალაქი – ბუქარესტი; ზღვის შსამანი გველი – ასტროციორი; ცელქი – ანცი; ქალაქი იტალიაში – ფიორენცინა; სოფელი ლანჩხუთთან ახლოს – ორაგვი; გამზრდელი – გადა; ერთიანი ნარდში – იაქე; ნორვეგიის დედაქალაქი – ოსლო; სახელმწიფო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე – სერბია.

# ფირალთა თარეში გურიანთ-საჯისი ეტაპი



ყოველივე კაცთა უპირველესად ძველ გურიაში ფირალთას ხელი სოფელ გოვიეთის მკვიდრმა კოწია ცეცხლაძემ „გამოჰკრა“ ხელი. იგი გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან „შეერია ტყეს“. „ნახევრად გაპარდნით“ ფირალად ითვლებოდა. დღისით ტყეში იჯდა და ღამით საკუთარ ოჯახში „ითევდა ღამეს“. არც „სტრაჟნიკებს“ ებრძოდა და არც „კლასობრივ მტრებს“ ისე, საკუთარი სურვილით „ორმაგად იტანჯავდა“ თავს. რამ გააფირალა, რა უნდოდა, ამის მიზეზი არაფერი უწყის. დღისით ტყეში ჯდომას და ღამით საკუთარ ოჯახში ყოფნას მანამდეც არაფერი უშლიდა, არც ვინმე მოუკლავს და არც არაფერი გაუძარცვავს, წყენითაც არავისთვის უწყენინებია იოტის ოდენა. მშვიდობიანი ფირალი იყო, ადმინისტრაცია მასში ჩვეულებრივ მუყაითს, გამრჯევს და მშრომელ გურულ გლეხს ხედავდა. ხალისუფლებას მალე შეურიგდა, მანამდეც ნახევრად შერიგებული. ამიერიდან კოწია ცეცხლაძე დღისითაც სახლში იყო და ღამითაც. მისი ნახევრად

ფირალთის „ზეობის“ წლები უცნობია. გარდაიცვალა 70 წლის ასაკში. კოწია ცეცხლაძეს თავისი აგრესიულობით ცოტათი გადაეშტა ფირალი პროკოპი ჭყონია, რომელი სოფლიდან იყო უცნობია. რა მიზეზის გამო გაიჭრა ფირალად ისიც. ვინ მოჰკლა ვინ გაძარცვა, ვის გამოესარჩლა - ესეც დაუდგენელია. რასან ფირალად გაგარდა, ხელისუფლებას არ შემოურიგდა და „ბოლშევიკად“ დაუწყო მხერა, მისგან ადრე თუ გვიან ყოველგვარი საძრახისი და საზიარო საქმე იყო მოსალოდნელი. ამის გამო ფირალ პროკოპი ჭყონიას კვალში ჩაუდგა იმდროისათვის საჭეწნოდ ცნობილი უანდარბი. სასტიკი და დაუნდობელი, მისივე თვისებები. „ფირალზე ნაგეში“ ირაკლი ღუმბაძე. ჭყონია ღუმბაძის მიერ მოიკლა 1886 წელს. რაიმე არსებითი „კვალი“ საფირალი მოძრაობაში მას არ დაუტოვებია. პროკოპი ჭყონიას და კოწია ცეცხლაძის შემდგომ სოფელ შემოქმედის მკვიდრი გოგია ლომჯარია წამოიძარცვა საფირალი

მოძრაობის ავანსცენაზე. თავიდანვე დაუდგომელ ცხოვრებას ეწეოდა. ოცი წლის ასაკში მყოფი დიდად გამოცდილი იყო საფათერაო საქმეებისა. გულიც ერჩოდა და მკლავიც. დაბალი ტანისა იყო. მარდი, უშიშარი და შეუპოვარი. „კაი ჩაცმა დასურვა უყვარდა და კაი ყაფაღლა თოფიც ქონდა, კაცის კვლაზე ნაცადი არ ყოფილა, თუმცა სულ „წიკაპზე“ იდგა, ტყისკენ გაუბრუნდა თვალი. შესაფერ შემთხვევას ელოდა. სოციალურად ჩაგრული არ ყოფილა, თუმცა მაგანი და მაგანი ძალისძლად ცდილობდნენ მის გაფირალებაში ამ მოტივის წინა პლანზე წამოწევას. ხელობით საერო იყო. როგორც გურიაში უწოდებენ - „უსტა“ მაგრამ „უსტობა“ - ხურობისათვის ნაკლებად ეცალა. ოზურგეთის მხარის უფროსის თანამშემსის - ანტონ ნაკაშიძის ყმად ითვლებოდა, თუმცა ქედზე ყმობის ბორკილს ნაკლებად იდგამდა. უფრო ხშირად, „სეზონის დროს“ შეგვეთილის გზაზე ჩაღვარდობდა. ამ ჩაღვარდმა ოზურგეთ-შეგვეთილის გზაზე ყოველივეს ასავალ-დასავალი ეწეოდა. მრავალ ავაზაკსა და ბოროტგანმზრახველს პირად იცნობდა. ლომჯარის ერთმა ამხანაგთან-წოდებით აზნაურმა ხარი მოიპარა და სხვისი ქონების ხარჯზე ხელის მოთობა გადაწყვიტა. ამ საქმეში გოგიაც იქნა ჩართული. როგორც შეგვეთილის საბაჟოს ასავალ-დასავალის მცოდნეს ხარი მას მიპარა გასასყიდად. გოგიე ნაქურდალს „ხართიზა“ არ აიღებდა. გარკვეული წელი საქონლის რეალიზაციის შემდეგ მასაც უნდა რეგებოდა. მოპარული ხარი ვისი კუთვნილება იყო დაუდგენელია. არ არის გამორიცხული, რომ იგი ანტონ ნაკაშიძისა ყოფილიყო. ხარის მოპარვა და ამ საძრახის საქმეში

**რუბრიკას უძღვება ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის მენეიერ-მუშაკი მანანა მემარნიშვილი**

შეგვეთილის გზაზე მოჩალანდრე გოგია ლომჯარის ამბავი გამჟღავნდა. მომპარავსა და გამსაღებელს სასჯელი ემუქრებოდა. საქმის კვლევა-ძიება, როგორც ოზურგეთის მხარის უფროსის - ოტია დადიანის მოადგილეს, საპოლიციო საქმეთა აღმსრულებელს თავად ანტონ ნაკაშიძეს დაევა. საქმის ძიებამ და წარმოებამ თავადი ნაკაშიძე ჩალანდარ ლომჯარის კვალზე გაიყვანა. ანტონი ფხიზელი დარაჯი იყო თავისი საქმისა, რასაც ვერ ვიტყვით ოდნის მთავართა ნამიერზე, ვერცხლის მოყვარე ოტია დადიანზე. მზრამი ჰყვოდა ქურდობა და ავაზაკობა. ოზურგეთელ ბოროტ განმზრახველთ ოტია დადიანის მზარეულობის კალთა ჰგარავდა. მასთან ყოველგვარი საძრახისი საქმის ჩაფარცვა, თუნდაც ხარის ქურდობისა, ადვილად შეიძლებოდა, რაც ამკარად გამორიცხული იყო ანტონ ნაკაშიძის მხრივ. გოგია ლომჯარია და ანტონ ნაკაშიძე ამ გარემოებამ მტრებად აქცია. ანტონი ხარის ქურდობას არ თმობდა. გოგია ანტონის სოცოცხლეს. ოზურგეთის მხრამში იმხანად ქურდ-რევიდვისტთა უსტაბაშზე - მხრის უფროსის ოტია დადიანზე, როგორც მმარცველთა სალოცავ-სათყვანებელ კაცზე - ნამდვილი ლეგენდები დადიოდა. 1880 წელს გაზ. „დროებაში“ გამოქვეყნებულ კორესპონდენციაში ვინმე „აკეთილი ალფესი მგელაძე“ წერდა: „ბაილეში მოკლეს ორი კაცი, ვაჭარი და მისი პრიკაშიკი. გურიანთში მოკლეს ერთი ქალი. ლიხაურში ერთი მოკლეს და ორი დაჩეხეს. მაკანეთში დაჩეხეს ერთი კაცი. გუმბინინ დვაზუში მოკლეს ორი სამაგალითო ახალგაზრდა. ამისთანა დრო წარმოგვიდგენს იმ გურიელების დროს, როდესაც „გოთაულობა“ - (კაცის შეპყრობა და გასასყიდად გაყვანა) გაძლიერებული იყო. კანონი და მმართველობა - სუსტი. ადამიანებს უწყალოდ ხოცავდნენ, ან ყიდდნენ ოსმალებში ვითარცა პირუტყვს ამ სამწუნარო მდგომარეობის მიზეზი აი რა არის: მე თვითონ გავივინე ერთი ავაზაკის სიტყვა: ეს ღმერთმა გვიდღერძებლოს ჩვენი მამა დადიანი, რომლისგანაც არის დამოკიდებული ჩვენი ბედ-იბაღი. სანამ ის ცოცხალი გვაყვს არაფერი გვიჭირს“. ავკაცობა სათავეს მხრის უფროსიდან იღებდა. მხრის უფროსს მზრამი ბოქაული და მამასახლისი ედგა. თითო-ორიოლა გულმოდგინე პოლიციის მსახური - შტაბის კაპიტანი ივანე ღუმბაძე და მხრის უფროსის თანამშემსე საპოლიციო საქმეებში - ანტონ ნაკაშიძე საქმეს ვერ შევლოდა. შეკრული იყო ჯაღოს-ნური წრე, ე.წ. „გორდიანეს კვანძი“, რომლის გახსნა თუ ალესილი მხრის ვილით გადაჭრა მამინდელმა ადმინისტრაციამ ვეღარ შეიძლო და თავისი აღსასრული თავადვე დააჩქარა. 1878 წელს გაზ. „ივერია“ მკითხველს აუწყებს: „ლონდ კი აქაურ პრისტავს მხრის მმართველი მოწყალეების თვალთ უყურებდეს და დანარჩენი მას ფეხებზე ჰკიდია. პრისტავის შემდეგ ჩვენში ყოვლის შემძლე მამასახლისია. მამასახლისის ჩვენთან ხალხი კი არა პრისტავი ირჩევს, პრისტავი ამტკიცებს და სცვლის კიდევ თუ მისთვის მოსაწონი არ არის. მამასახლისი ასეთ შემთხვევაში მარჯვენა ხელია პრისტავისა. მხრის უფროსიც ასეთ დროს შესაფერისი შეხედებათ ორთავეს, ამის გამო მათი ბოროტმოქმედება დღითი დღე მატულობს ჩვენში.“

(გაგრძელება იქნება)

**მენეიერ გოგიაძე**

## სულთათნა

### სოსო გგელაძე



2016 წლის 30 იანვარს შეწყდა შენი სიცოცხლე, უსაშველო ტკივილი დაგვიტოვა ყველას ამ ქვეყნიდან შენმა მოულოდნელად წასვლამ. 47 წლის კაცს, რომელსაც ძალიან დიდი გემები გქონდა დასახული და ძალიან ბევრის გაკეთება შეგეძლო, მაშინ გიმტყუნა სიცოცხლემ და გამოგვაცალა შენი თავი. მალე ორმოცი დღე იქნება... შენ უკვე ძალიან გვაკლიხარ.

შენი მეუღლე ნათია ძალიან დარდობს, მაგრამ მისი ცხოვრების დიდი იმედია ლუკა. შენი ლუკა, რომ-


ელიც სიცოცხლეზე მეტად ვიყვარდა, გაიზრდებოდა ისეთი კაცური კაცი, როგორც შენ იყავი, მოსიყვარულე, თბილი. ყველას, ვისაც უჭირდა, ეხმარებოდი და ამას ისე ჩუმად აკეთებდი, არავისაგან არაფერს ითხოვდი. ვასიკო, რომელსაც შენი ყველაზე დიდი იმედი ჰქონდა, რომ მისი ძმა მას ყოველთვის გვერდში ეყოლებოდა, გულგატეხილია და მას ყველაზე მეტად უჭირს.

ყველას უყვარდი. ჩვენ, თურმე, არ გვცოდნინხარ, თუ რამდენ ადამიანს იცნობდი და მეგობრობდი, ყველას სიკეთით, კაცურად სცემდი პასუხს. უამრავმა ადამიანმა დაგიმტკიცა ეს სიყვარული. შენი დასაფლავების დღეზე, თავისი ცრემლით, შენი ოჯახის მიმართ ყურადღებით და გვერდში დგომით.

მე, ჩემო მამიდა, მეტი არაფერი შემეძლია. შენს სურათს ვიყვარები. სანამ ვიქნები, ვილოცებ შენზე.

**შენი მამიდა შუბუ, მამიდაშვილები ბია და თამაზ ღარჩივაძე.**

### მამია ცეცხლაძე



ქვედა ბაზვის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუნარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მამია რაფაენის ძე ცეცხლაძე. ბატონი მამია წლების განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას სოფელ ქვედა ბაზვის საჯარო სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად. ბავშვებთან გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიყვარულით, მზრუნველობით. იყო უდიდესი პასუხისმგებლობის მქონე, განათლებული, ოუმორით სავსე, სიახლეების მამიებელი პედაგოგი. თანამშრომელ-

ბში აღიქმებოდა, როგორც საუკეთესო მეგობარი, ჭირისა და ლხინის ზიარი კაცი, საიმედო დასაყრდენი, სიმართლის მოყვარული პიროვნება.

ბატონმა მამიამ სიცოცხლის ბოლო წლებში განიცადა უდიდესი მწუნარება - დაკარგა უმცროსი ვაჟი ემზარ ცეცხლაძე. ეს ტკივილი მისი საუკეთესო ოჯახისთვის მოურჩენელია.

ქვედა ბაზვის საჯარო სკოლის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ მის მეუღლეს, ვაჟიშვილის ოჯახს, სანათესაოს და სამეგობრო წრეს.

გვწამს, მისი ხსოვნა მარადიული იქნება!

**სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ბაზვის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, პედაგოგთა და მშრომელთა თაგისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია.**

### გურამ (გოგა) გურუსიძის მონატრება



პირველი გაზაფხული დადგა უშენოდ და პირველი დაბადების დღე უნდა მოგილოცო, რომელიც უშენოდ გათენდა.

დრო ვერ შეცვლის ვერაფერს, შენ სულ ჩემი მონატრება და სიყვარული იქნები. გვენატრები და გვიყვარხარ უზომოდ!

**შენი დაიკო სალომი.**



### ჩემი ოზუგეთელებო! გენეხედი საბჭოს წევხებო!

გილოცავთ გაზაფხულის შემობოძანებას და დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეს. სიღამაზე, ხალისი, სიკეთე და ბედნიერება ახ მოგეცებოდეთ. გენეხედი საკონსულტაციო საბჭო თქვენს გვეხდით იქნება!

**ლელა ნაცვალაძე,**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გენდერული-საპროფესიონალიზაციო საბჭოს თავმჯდომარე, საპროფესიონალიზაციო დეპუტატი



### გაზაფხულით დამაზო ჩვენო მანდილოსნებო!

ქართული დღა უფლისა და მზის სიყვარულით ცნობილია, ქართულ კაცში სჯულიც, ძირისციანდამა და სამშობლო დედასთან არის თანასწორი, ღვთის მადლით, წყარო ქართულთა უკვდავებისა ქართლის დედაა. უღლის ერთგულად გამწვანდ, მზისა და მზის დამცვენი, შვილების, შვილიშვილების აღმზრდელა, მუხლჩაუხრელ დედაც, გვინდა მარად გვყავდეთ. ყველანი ბალიან მიყვარსათ, ჩვენ ბავშვთაგან, ღმერთს ვთხოვთ თქვენს დიდებას, გვზარდოთ მყვინი შვილი ერთიანი, მღვდელი საქართულომათვის. ჩვენ, მამაკაცები თქვენს გვერდით გვიგულეთ. გილოცავთ თქვენს ლამაზ დღესასწაულს, 3 და 8 მარტს, ღმერთმა დალოცოს თქვენი მზისა...

**ზაზუნა ჩიბუჩიძე,**

საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ხევისმხი



### ძვირფასო ქალბატონებო!

გილოცავთ გაზაფხულის დამაზო დღესასწაულებს დედისა და ქალთა დღეებს! გისუხვებთ ჯანმრთელობას, თქვენი ოჯახების გაძლიერებას, სიყვარულსა და ბედნიერებას.

**შპს „გზაგადასასრული 18“**

## სამსახურო გაღება თინათინ ჟღენტის გამოფენას მასპინძლობს



4 მარტს ქ. ოზურგეთში ბის ოზურგეთის თანამედროვე მერაბ ბერძენიშვილის სახელობის სახელობის ხელოვნების ცენტრში

თინათინ ჟღენტის პერსონალური გამოფენა გაიხსნა. გამოფენის ავტორის სიტყვებით, ნამუშევრები ძირითადად აბსტრაქტულ-ავანგარდისტულია და რამდენიმე მიმართულების სინთეზს წარმოადგენს. ესენია პატრიოტული ლირიკა, კუბიზმი, მოდერნიზმი და აბსტრაქცია.

თინათინ ჟღენტის პირველი პერსონალური გამოფენა 25 წლის წინ შედგა, მაშინ, როცა გაიხსნა ოზურგეთის სახეობის ხელოვნების ცენტრი. აღსანიშნავია რომ ოზურგეთის სინა-

მდვილეში ეს პირველი პერსონალური გამოფენა იყო.

მხატვარ-გრაფიკოსი, ავთანდილ თავართქილაძე მიიჩნევს, რომ თინათინ ჟღენტს აქვს „საოცარი ხაზის კულტურა“. „ჩემთვის, როგორც ერთი მხატვრისთვის, აღმოჩენა ხარ. ამტკიცებ, რომ ჩვენ სახეობის ხელოვნების ქალაქში ვცხოვრობთ“, – მიმართა მხატვარს თავართქილაძემ.

გურიის მხარის გუბერნატორმა ვია სალუქვაძემ ნამუშევრებს განდიოხული, ორიგინ-

ალური და კრეატიული უწოდა, მისი აზრით, ეს ნამუშევრები მსოფლიოს ნებისმიერ გამოფენას დაამშვენებდა.

„ჩემი ნამუშევრები ჩემივე თვალთ დანახული სამყაროა, ჩემი დამოკიდებულება სამყაროსადმი. დღევანდელი დღე ჩემთვის მეტი პასუხისმგებლობა, ფიქრი და სამომავლო გეგმებია“ – გვითხრა თინათინ ჟღენტმა.

დამოვალიერებელს გამოფენა მარტის ბოლომდე უმასპინძლებს.

## ვეტერან (სენიორ) მოჭადრაკეთა პირველობაზე

ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში ოთხ დღეს გაგრძელდა ვეტერან მოჭადრაკეთა ჩემპიონატი, რომელშიც ქალაქელ მოჭადრაკეებთან ერთად, სოფლის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. დებულების მიხედვით შეჯიბრებაში 60 წელს გადაცილებული თანრიგოსანი და მოყვარული მოჭადრაკეები იყო ჩართული. ტურნირი წრიული სისტემით ჩატარდა, სადაც 14 ტურში 56 პარტია გათამაშდა. შეჯიბრებას ინტერესის ინიციატორმა, რომ მონაწილეთა შორის საკმაოდ გამოცდილი მოჭადრაკეებიც მონაწილეობდა, რომლებსაც სხვადასხვა წლებში წარმატებით უსაპარეზია მუნიციპალური და რეგიონალური პირველობებზე. სატურნირო ცხრილში ზედა ადგილები სწორედ გამოცდილმა მოჭადრაკეებმა დაიკავეს. ოზურგეთელმა პირველთანრიგოსა-

ნმა ვლადიმერ (ვოვა) ქარჩავამ 14 შესაძლებლობიდან 12 ქულა დააგროვა და დამსახურებულად მოიპოვა ჩემპიონობა. 11 ქულით მეორე ადგილზე ნატანბელი კოკი ბაქანიძე გავიდა. მესამე საპრიზო ადგილი კი, 8,5 ქულით იური დიდმანიძემ აიღო, რომელმაც ნახევარი ქულით გაუსწრო მე-4 საპატიო ადგილზე გასულ რეზული მუჟაანაძეს.

ჩემპიონატში კარგად ითამაშეს ჯანიეტელმა გურამ ლომჯარიამ და კვირიკეთელმა ვეშა კეჭყავაძემ, რომლებიც ცოტათი ჩამორჩნენ პრიზორებს.

შეჯიბრების დასრულებაში მონაწილეობა მიიღო ოზურგეთის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის დირექტორმა გოჩა კვანტალიანმა, რომელმაც წარმატებულ მოჭადრაკეებს თასი, სპეციალური დიპლომები და ფასიანი საჩუქრები

გადასცა. როგორც ტურნირის ორგანიზატორმა ზურაბ ანდლულაძემ გვითხრა პირველ სამ ადგილზე გასული მოჭადრაკეები პირდაპირ იქნება დაშვებული ოზურგეთის მუნიციპალური ჩემპიონატის ფინალში, რომელიც სექტემბერში გაიმართება, მანამდე კი, მარტის ბოლოს დაგეგმილია გურიის მე-4 გუნდური ჩემპიონატი, რომელიც 10 დღეაზე უნდა გაიმართოს და მასში ერთი ადგილი წარმატებული ვეტერანი მოჭადრაკეებისთვისაა გათვალისწინებული. ზანდლულაძემ აქვე გვაცნობა, რომ 4-13 მარტს ქ.ფოთში ტარდება მოსწავლეთა შორის საქართველოს პირველობა სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებში, რომელშიც ოზურგეთელები მწვრთნელ ელგუჯა ურუშაძის საკმაოდ კარგად მომზადებული ჯგუფით მიიღებს მონაწილეობას.

## ქურასხედიანი, ონიანი და ქათამიკე დასავლეთ საქართველოს ჩემპიონები გახდნენ

24-25 თებერვალს ქ. ბათუმში ჩატარდა დასავლეთ საქართველოს პირველობა ბიულდოში 2000-2001 წლებში დაბადებულთა შორის.

აღნიშნულ ღონისძიებაში ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის ნაკრები გუნდიდან ჩემპიონები გახდნენ: ველა ქურასხედიანი, 46კგ წონით კატ-

ეგორიაში, მწვრთნელი დიმიტრი ტულუში; თორნიკე ონიანი; 60კგ წონით კატეგორიაში, მწვრთნელი გოჩა ბურჭულაძე და ვლადიმერ ქათამიკე, 60კგ წონით კატეგორიაში, მწვრთნელი დავით ჩიკაშუა. გამარჯვებული სპორტსმენები მარტის თვეში საქართველოს ჩემპიონატში მიიღებენ მონაწილეობას.

## ტატურაშვილის მესამე ადგილი

26-28 თებერვალს ქ. თბილისში ჩატარდა ვ. მაისურაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. აღნიშნულ ღონისძიებაში ქ. ოზურგეთის მუნიციპა-

ლიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის აღსაზრდელმა ლუკა ტატურაშვილმა 76კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილი დაიკავა. (მწვრთნელი გურამ მაჭარაშვილი.)

მზე, +4+16 7 მარტი ორშაბათი	მზე, +6+19 8 მარტი სამშაბათი	მზე, +6+18 9 მარტი ოთხშაბათი	მზე, +9+19 10 მარტი ხუთშაბათი	მცირე წვიმა, +10+18 11 მარტი პარასკევი	მცირე წვიმა, +9+16 12 მარტი შაბათი	წვიმა, +7+10 13 მარტი კვირა
--------------------------------	---------------------------------	---------------------------------	----------------------------------	---	---------------------------------------	--------------------------------

## 7 დღის ამინდის პროგნოზი